დანართი №1

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზნები

ეს წესი არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა (შემდგომში - სსსმ და შშმ სტუდენტი) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესს.

მუხლი 2. წესის მიზანი და ამოცანები

1. ამ წესის მიზანია უნივერსიტეტში სსსმ და შშმ სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად, უწყვეტად და ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფა.

2. ამ წესის ამოცანებია:
ა) სსსმ და შშმ სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრა და დროული იდენტიფიცირება;
ბ) საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების პროცესში შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტის/სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა;
გ) სსსმ და შშმ სტუდენტის უზრუნველყოფა საჭირო ტექნოლოგიური, ადამიანური, ფიზიკური, მატერიალური რესურსებით.

მუხლი 3. სსსმ და შშმ სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის პროცედურა

1. სასწავლო წლის დასაწყისში, ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში, სსსმ და შშმ სტუდენტი მიმართავს ფაკულტეტის ადმინისტრაციას საგანმანათლებლო პროცესში შეუფერხებლად ჩართვის მოთხოვნით.

2. ფაკულტეტის ადმინისტრაცია უნივერსიტეტის შესაბამისი კომპეტენციის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით სსსმ და შშმ სტუდენტის შეუფერხებელი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით - უნივერსიტეტის ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით - ახდენს შესაბამისი მატერიალური, ადამიანური, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო რესურსებით სტუდენტის მხარდაჭერას (მაგალითად, მცირემხედველობის შემთხვევაში გაზრდილი შრიფტი, სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა CCTV, პერსონალური ასისტენტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, სუბტიტრები, ბრაილის შრიფტის, Daisy ხმოვანი წიგნის წამკითხავი პროგრამა, გამაძლიერებელი და სხვა სპეციალური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება და სხვ.).

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრთან, შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებთან/ინკლუზიური განათლების ექსპერტებთან თანამშრომლობით სისტემატურად ახდენენ სსსმ და შშმ სტუდენტების საჭიროებების შესწავლასა და ანალიზს,

რის შედეგად უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარედგინება რეკომენდაციები გამოვლენილი პრობლემების დროულად და ეფექტურად გადაჭრის მიზნით.

4. საგანმანათლებლო პროცესში სსსმ და შშმ სტუდენტის ჩართვის პროცესთან დაკავშირებულ საჩივარს განიხილავს სტუდენტური ომბუდსმენი და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 4. სსსმ და შშმ სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის წესი

1. სასწავლო ცხრილის შედგენის დროს ფაკულტეტის ადმინისტრაცია ითვალისწინებს სსსმ და შშმ სტუდენტის საჭიროებებს და სასწავლო კურსები (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი, ლაბორატორიული სამუშაო და ა.შ.) ტარდება უნივერსიტეტის იმ შენობაში, სადაც სტუდენტს შეუძლია თავისუფლად ორიენტაცია და გადაადგილება (მათ შორის არის: პანდუსები/ლიფტი, შესაბამისად მოწყობილი სანიტარიული კვანძი და სხვ.). იმ შემთხვევაში, თუ შენობის მხოლოდ პირველი სართულია უზრუნველყოფილი პანდუსით და შენობას არ აქვს ლიფტი, სასწავლო კურსები ტარდება შენობის პირველ სართულზე. გარდა ამისა, შენობის მიმდებარედ უნდა არსებობდეს ავტოსადგომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, საიდანაც შეუფერხებლად იქნება შესაძლებელი შენობამდე მიღწევა.

2. სსსმ და შშმ სტუდენტი მისთვის საჭირო ინფორმაციას და აგრეთვე ადმინისტრაციულ მხარდაჭერას იღებს უნივერსიტეტის და/ან ფაკულტეტის ადმინისტრაციაში/ფაკულტეტის სტუდენტთა მომსახურების ცენტრში, რომელიც განლაგებულია სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის სრულად ადაპტირებულ შენობაში.

3. ფაკულტეტი სსსმ და შშმ სტუდენტს იდენტიფიცირებული საჭიროების გათვალისწინებით უდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სსსმ და შშმ სტუდენტისთვის სწავლა-სწავლების, შეფასების, სასწავლო ინსტრუქციების, საგანმანათლებლო რესურსების ადაპტაციას, სათანადო ფორმებისა და პირობების (მათ შორის ელექტრონული სწავლების) შეთავაზებას, რათა სტუდენტი შეუფერხებლად იქნას ჩართული საგანმანათლებლო პროცესში.

4. საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ: სტუდენტმა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა/ხელმძღვანელებმა/კოორდინატორმა, სასწავლო კურსების განმახორციელებელმა ლექტორმა/ლექტორებმა, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, უნივერსიტეტის შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის წარმომადგენლებმა. საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის მიღების მიზნით შეიძლება მოწვეულ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის/ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

5. საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის მოთხოვნის საფუძველზე, უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრი შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებების განხორციელებას (შესაბამისი საინფორმაციო შეხვედრები, სემინარები, ტრენინგები და სხვ.), რათა სსსმ და შშმ სტუდენტისთვის შეთავაზებულ იქნას მისი საჭიროებების შესაბამისი სწავლა-სწავლების, შეფასების ფორმები და პირობები.

6. სსსმ და შშმ სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამით და/ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსები (მაგალითად, ჟესტებზე მოლაპარაკე სტუდენტთა საგნობრივი სახელმძღვანელოები, ასევე, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოები და სხვ.) ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში არსებულ ბიბლიოთეკაში და/ან იმ შენობაში განთავსებულ ბიბლიოთეკაში, სადაც სტუდენტს შეუძლია თავისუფლად ორიენტაცია და გადაადგილება (მათ შორის არის: პანდუსები, ლიფტი, შესაბამისად მოწყობილი სანიტარიული კვანძი და სხვ.).

7. საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის მოთხოვნის საფუძველზე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და/ან ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს სსსმ და შშმ სტუდენტს იმ სასწავლო რესურსებით, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე (მაგალითად, ჟესტებზე მოლაპარაკე სტუდენტთა საგნობრივი სახელმძღვანელოები, ასევე, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოები და სხვ.).